



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის

#41 31.05.2019 წ.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტროობა

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელები: ა.აკოფაშვილი, ნ. ზერიძე

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა / Electricity

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა -07313-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Secondary Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

4. მიზანი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე მომზადდება მაღლი ძაბვის ელექტროობაში.

5. დაშვების წინაპირობა:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - სრული ზოგადი განათლება;

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- ელექტროობის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებას უწევს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მას შეუძლია აწარმოოს ელექტროენერჯიის გადამცემი სისტემების ექსპლოატაცია წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე, აწარმოოს იმ გამანაწილებელი (ელექტრული ხაზების, ბოძების, მრიცხველების და კაბელებისაგან შემდგარი) სისტემების ექსპლოატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის სისტემიდან მიღებულ ელექტროენერჯიას საბოლოო მომხმარებელს.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: მონტიორი; მონტიორის თანაშემწე და ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების სპეციალისტი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 74137411; 7412; 7413.

7. სტრუქტურა და მოდულები

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. 9 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 45 კრედიტის ოდენობით.
- ელექტროობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს **70** კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა 100 კრედიტი

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 70 კრედიტი 13 თვე
 არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 100 კრედიტი 18 თვე

| № | საერთო პროფესიული მოდულები - საშუალო | კრედიტი |
|---|--|-----------|
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში | 2 |
| 2 | საინჟინრო ხაზვა | 4 |
| 3 | ელექტრული და ელექტრონული პრინციპები | 4 |
| 4 | კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში | 4 |
| | ჯამი: | 14 |
| № | საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები | კრედიტი |
| 1 | უცხოური ენა(ინგლისური) | 5 |
| 2 | მეწარმეობა 2 | 2 |

| | | |
|----------|--|----------------|
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 4 | პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | 1 |
| | ჯამი | 11 |
| № | პროფესიული მოდულები - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ელექტრობაში | კრედიტი |
| 1 | უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტრობაში | 3 |
| 2 | ელექტროტექნიკური მასალები | 3 |
| 3 | ელექტრული ფუნქციები და ანალიზი | 2 |
| 4 | საზეინკლო ოპერაციების შესრულება | 2 |
| 5 | პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება | 10 |
| 6 | მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები | 3 |
| 7 | მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება | 8 |
| 8 | ქვესადგურების მონტაჟის, დიაგნოსტიკისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები | 4 |
| 9 | ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება | 10 |
| | ჯამი | 45 |

8. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის ელექტრობის მიმართულებით

1. ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე
2. გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები
3. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით
4. განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება
5. დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება
6. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
7. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
8. დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა
9. გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

კოლეჯმა „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია).

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულეზში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი №1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

დანართი №2 -სასწავლო გეგმა

დანართი №3 – მოდულები:

- 3.1 გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში
- 3.2 საინჟინრო ხაზვა
- 3.3 ელექტრული და ელექტრონული პრინციპები
- 3.4 კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში
- 3.5 უცხოური ენა(ინგლისური)
- 3.6 მეწარმეობა 2
- 3.7 ინფორმაციული წიგნიერება 1
- 3.8 პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები

- 3.9 უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში
- 3.10 ელექტროტექნიკური მასალები
- 3.11 ელექტრული ფუნქციები და ანალიზი
- 3.12 საზენიტო ოპერაციების შესრულება
- 3.13 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება
- 3.14 მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები
- 3.15 მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება
- 3.16 ქვესადგურების მონტაჟის, დიაგნოსტიკისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები
- 3.17 ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება

- 3.18 ქართული ენა A

- 3.19 ქართული ენა B1

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულება :

- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ხელშეკრულება #29^ა 09.10. 2017წ